



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030422179174820

№ 04-385/თ

09 / აგვისტო / 2020 წ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში, ანგარიშგებისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების N1.9 დანართის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 3 აგვისტოს № 01/9051 წერილის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის № 01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის „მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენი ელექტრონული ანგარიშგების საბეჭდი ფორმა (დანართი N1)

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ელექტრონული ანგარიშგების საბეჭდი ფორმის მიხედვით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლის მიერ ანგარიშგება წარდგენილ უნდა იქნეს 2020 წლის 1 აპრილიდან განუვლ მომსახურებაზე.

3. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ჩაბარებიდან არაუმეტეს 60 სამუშაო დღისა, ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ განმარტებული ნარმოდგენილი ელექტრონული საანგარიშგებო დოკუმენტაციის, გაცემულ ელექტრონულ რეცეპტებთან დადარების საფუძველზე (მოსარგებლის პ/ნ; რეცეპტის N).


4. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ.გოგოლაძე) და დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყონ, კომპეტენციის შესაბამისად, ამ ბრძანების და მისი N1 დანართის სააგენტოს ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულებისათვის გაგზავნა და სააგენტოს ვებ-გვერდზე - www.ssa.gov.ge განთავსება.

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (თ. აბალაძე), კომპეტენციის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, უზრუნველყონ ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

გიორგი ნონკოლაური

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით

საბეჭდი საანგარიშგებო ფორმა

დაავადებათა ჯგუფები	თანხა
გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები	
ფილტვის ქრონიკული დაავადებები	
დიაბეტი (ტიპი 2)	
ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებები	
პარკინსონი	
ეპილეფსია	
ანტიბაქტერიული მედიკამენტები	
ასანაზღაურებელი თანხა ჯამურად	